ასტრიდ ლინდგრენი

გაიხსენე, რა გსმენია ასტრიდ ლინდგრენის შესახებ. წაიკითხე ტექსტი და გაეცანი რამდენიმე ინ-ფორმაციას მისი ბიოგრაფიიდან.

ასტრიდ ლინდგრენი შვედი მწერალია. იგი დაიბადა 1907 წლის 14 ნოემბერს. 18 წლამდე ოჯახთან ერთად ქალაქ ვიმერბი-ში ცხოვრობდა. შემდეგ სტოკჰოლმში და-სახლდა. იქ დაიწყო მან საბავშვო წიგნების წერა.

პირველი წიგნი ასტრიდმა 38 წლისამ დაწერა. ეს იყო „პეპი გრძელწინდა“. მან საკუთარი ხელით **აკინძა** „პეპი“ და შვილს აჩუქა. დაბეჭდვაზე კი უარი უთხრეს. გა-მომცემელს პეპი არ მოეწონა. თამამი, **თავ-ნება** და მატყუარა გოგოაო. ალბათ, ეგონა, რომ მისგან **სახეიროს** ვერაფერს ისწავ-ლიდა პატარა მკითხველი. მაგრამ მალე ასტრიდმა ერთ კონკურსში გაიმარჯვა და ჯილდოც მიიღო. ამას მოჰყვა ჯერ „პეპის“, მერე სხვა წიგნების გამოცემა. ბევრი მისი ნაწარმოები დაიდგა თეატრებში. გადაიღეს 40-ამდე ფილმი. წიგნები 80-ზე მეტ ენაზე ითარგმნა. ასე გაიცნო ასტრიდი მსოფლი-ომ. ამბობენ, მისი წიგნები რომ დაამწკრი-ვო, დედამიწას სამჯერ შემოსწვდებაო.

ხასიათით ასტრიდი ყველაზე მეტად, ალბათ, პეპის ჰგავდა. მასავით კეთილი, **მებრძოლი** ადამიანი იყო. მუდამ სიმარ-თლეს იცავდა.

ასტრიდს ძალიან უყვარდა ცხოველე-ბი. იგი წუხდა, რომ მათ ცუდად ეპყრო-ბოდნენ. ასტრიდი ცხოველების დასაცავად იბრძოდა. მისმა აქტიურობამ მალე შედეგი გამოიღო. და აი, 1988 წელს ცხოველთა დაცვის შესახებ ახალი კანონი მიიღეს.

ასტრიდი ერთადერთი მწერალია, რო-მელსაც სიცოცხლეში დაუდგეს ძეგ-ლი. ასევე გაუხსნეს მუზეუმი. შვედეთის საუკუნის ადამიანის წოდებაც მიანიჭეს. მისი სახელი დაარქვეს ვარსკვლავს.

95 წლის ასტრიდი 2002 წელს გარ-დაიცვალა. მართალია, მისი წიგნების გმირები უცნაური ბავშვები ჩანან. ზოგი ზარმაცია, ზოგი – ჯიუტი. მაგრამ ყველა გაბედული, კეთილი და სამართლიანია, ამიტომ უყვართ ისინი ბავშვებს. მეტიც, ხშირად ჰბაძავენ კიდეც მათ.

რა გაიგე ახალი ასტრიდ ლინდ-გრენის შესახებ?

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რომელი წინადადება გადმოსცემს ფაქტს?

ა) ამბობენ, ასტრიდის იმდენი წიგნია გამოცემული, რომ დედამიწას შემოსწვდებაო.

ბ) გამომცემელს პეპი, ალბათ, არ მოეწონა, რადგან ზედმეტად თამამი ბავშვი იყო.

გ) 38 წლის იყო ასტრიდი, როდესაც პირველი წიგნი „პეპი გრძელწინდა“ დაწერა.

2 ტექსტში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, თუ:

ა) რატომ დაიწუნა გამომცემლობამ ასტრიდის ,,პეპი გრძელწინდა“.

ბ) რატომ გადავიდა ასტრიდი საცხოვრებლად სტოკჰოლმში.

გ) რატომ უყვარდა ასტრიდს ცხოველები განსაკუთრებით.

3 რომელ წინადადებაშია გამოთქმული მოსაზრება?

ა) ასტრიდი, ალბათ, ბავშვების ყველაზე საყვარელი მწერალია.

ბ) ასტრიდის წიგნები 80-ზე მეტ ენაზე ითარგმანა.

გ) ასტრიდს შვედეთში ძეგლი სიცოცხლეშივე დაუდგეს.

4 ასტრიდის ნაწარმოებების ბეჭდვა დაიწყეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც:

ა) მან ერთ-ერთ კონკურსში გაიმარჯვა.

ბ) მას შვედეთში მუზეუმი გაუხსნეს.

გ) მისი სახელი ვარსკვლავს დაარქვეს.

5 ტექსტში *არ ჩანს:*

ა) რამდენ ენაზეა თარგმნილი ასტრიდის წიგნები.

ბ) როგორ გაიცნო ასტრიდი მთელმა მსოფლიომ.

გ) რომელ წელს დაიბეჭდა პირველად ასტრიდის ,,პეპი“.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. პეპი **თავნება** გოგოა.

   ა) ტრაბახა. ბ) უხეში. გ) ჯიუტი.

2. მწერალმა „პეპი“ საკუთარი ხელით **აკინძა**.

   ა) ნახატებით გააფორმა. ბ) რვეულში გადაწერა. გ) წიგნად შეკრა.

3. მისგან **სახეიროს** ვერაფერს ისწავლის ბავშვი.

   ა) ახალს. ბ) სასარგებლოს. გ) სახალისოს.

4. ასტრიდი **მებრძოლი** ადამიანი იყო. **მებრძოლი** აქ ნიშნავს:

   ა) მეტისმეტად მკაცრს.

   ბ) საქმისთვის თავდადებულს.

   გ) ყოველთვის ყურადღებიანს.

2 რომელია საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმები)?

ა) კონკურსი – შეჯიბრება. ბ) თამამი – ლაღი. გ) უარი – თანხმობა.

▶▶▶ გრამატიკა

1 სწორად დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები.

1. გაეცანი (*მწერალი*) ---------- ბიოგრაფიას.

2. ასტრიდი დაიბადა 1907 (*წელი*) ---------- 14 ნოემბერს.

3. „პეპი გრძელწინდა“ (*გამომცემელი*) ---------- უარის გამო არ დაიბეჭდა.

2 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვა.

ასტრიდი ერთადერთი მწერალია, ---------- სიცოცხლეში დაუდგეს ძეგლი.

(რომელსაც / ვისაც)

გრამატიკა

3 **იპოვე შეცდომები და აღნიშნე X-ით.**

	[X] *ყავდა.*	[ ] *ჰყავდა.*
1.	[ ] ჰბაძავენ.	[ ] ბაძავენ.
2.	[ ] 40-ამდე ფილმი.	[ ] 40-ამდე ფილმები.
3.	[ ] საბავშო.	[ ] საბავშვო.
3.	[ ] ერთათ.	[ ] ერთად.

წერა

1 **გამოთქვი მოსაზრება, რატომ შეიყვარეს ბავშვებმა ასტრიდ ლინდგრენის ნაწარმოებები.**

---

1 **დაწერე, რომელია შენი საყვარელი ნაწარმოები. გამოთქვი მოსაზრებები ამ ნაწარმოების შესახებ (რა მოგეწონა ყველაზე მეტად და რატომ). გამოიყენე სიტყვები:** მე ვფიქრობ, ჩემი აზრით, ალბათ...